შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (10.030)

25 ივნისი-2 ივლისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ერთად შევასრულოთ პირველი პირობა-პოლარიზების დასრულება“



ევროპულმა საბჭომ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო 23 ივნისს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტზე. მიღებული გადაწყვეტილებით, უკრაინასა და მოლდოვას ენიჭებათ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, საქართველოს ეძლევა ევროპული პერსპექტივა და პირობები კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

ევროკომისიის რეკომენდაციების ჩამონათვალში ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პოლარიზაციის დაძლევას უკავშირდება. თუმცა, ბოლო დღეებში და განსაკუთრებით 22 ივნისს, პარლამენტში გამართული სხდომის შემდეგ, პოლარიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდა.

„ქართული ოცნება“ ყველაფერს ისევ „რადიკალურ ოპოზიციას“ აბრალებს. მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ სხდომაზე ოპოზიცია „გიჟებივით და სამარცხვინოდ“ იქცეოდა და „ოცნებამ“ მხოლოდ პასუხი გასცა.

მწვავე წინააღმდეგობა იყო ოპოზიციის ნაწილის მხრიდანაც. დეპუტატების მიერ უმიკროფონოდ, ტრანსლაციისას, ადგილიდან ნასროლი რეპლიკებისა და წინადადებების უდიდესი ნაწილი მაყურებლებს არ ესმოდათ.

ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროკავშირის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, დაიწყებს კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულებას. პრემიერ-მინისტრმა 24 ივნისს გამართულ ბრიფინგზე პირველი ნაბიჯი გადადგა და ოპოზიციას პოლარიზაციის დასრულებისკენ მოუწოდა.

„ყოველთვის ვაცხადებდით მზაობას, რომ მოწოდებულები ვართ კონსტრუქციული დიალოგისკენ. მინდა მოვუწოდო ოპოზიციას, რომ დავაყენოთ ჩვენი ხალხის ინტერესები ყველაზე მაღლა და ერთად შევასრულოთ ეს პირველი პირობა - პოლარიზების დასრულება“ - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ღარიბაშვილის შეფასებით, პოლარიზაციის აღმოსაფხვრელად ნახევარი მმართველი გუნდის პასუხისმგებლობაა, ნახევარი კი ოპოზიციის ვალდებულება. შესაბამისად, მან ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ ქართველი ხალხის წინაშე ეს პირობა შეასრულონ.

„ყველა ის პირობა, რომელიც არის მმართველი ძალის განსახორციელებელი, ძალიან მოკლე დროში შევასრულებთ. პირველი პირობა და პრიორიტეტი, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებშია, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა და არ იყოს გაუთავებელი ჩხუბი ან ერთმანეთის შეურაცხყოფა, აქ ნახევარი ჩვენი პასუხისმგებლობაა, ნახევარი კი ოპოზიციის ვალდებულება. ჩვენ მათ გარეშე ამ პირობას ვერ შევასრულებთ, ყოველთვის ვაცხადებდით მზაობას, რომ მოწოდებულები ვართ კონსტრუქციული დიალოგისკენ. მინდა მოვუწოდო ოპოზიციას, რომ დავაყენოთ ჩვენი ხალხის ინტერესები ყველაზე მაღლა და ერთად შევასრულოთ ეს პირველი პირობა - პოლარიზების დასრულება, რაც არის მაღალი შეშფოთების საგანი ჩვენს პარტნიორებში. პირველი მუხლი არის სწორედ პოლარიზების დასრულება, ამიტომ, ჩვენ ყველაფერს ძალიან მოკლე დროში შევასრულებთ, დანარჩენი კი მეორე მხარის განსახორციელებელი იქნება. მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ოპოზიციას, რომ შეასრულონ ქართველი ხალხის წინაშე ეს პირობა“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ოპოზიციას დაპირების არ სჯერა. თუმცა, მათი წარმომადგენლები, ჯერ-ჯერობით, არაფერს აკეთებენ პოლარიზების დასრულებისთვის.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს მიერ შესასრულებელ 12 პირობას შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა, ინსტიტუტების გამართულად მუშაობა და მათი დამოუკიდებლობა, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ელიტური კორუფციის შემთხვევების ეფექტიანად გამოძიება, დეოლიგარქიზაცია, თავისუფალი მედიაგარემო და ა.შ.

აქციის, „შინ ევროპისკენ“, ორგანიზატორებმა ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ ბრიფინგი გამართეს. სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ წარმომადგენელმა შოთა დიღმელაშვილმა თქვა, რომ 24 ივნისს თბილისში, პარლამენტის წინ დაგეგმილ აქციაზე, მთავრობისადმი მოთხოვნებს გამოაცხადებენ.

რუსეთთან ომში მყოფმა უკრაინამ ევროკავშირის წევრობის განაცხადი 28 თებერვალს წარადგინა. 3 მარტს ეს გააკეთეს საქართველომ და მოლდოვამ.

C M Y K

ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სოფლებში - სამრეკლოსა და გამარჯვებაში გაეცნო. სამრეკლოს ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პარალელურ რეჟიმში ხორციელდება 12-ე, 13-ე ქუჩებისა და 14-ე ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის საავტომობილო გზის მოწყობა. პროექტის ღირებულება 352 000 ლარია. ხოლო სოფელ გამარჯვებაში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა დასასვენებელი პარკი, ბავშვთა გასართობი მოედანი და ატრაქციონები. მისი ღირებულება 205 904 ლარს შეადგენს.

სამრეკლოს ამბულატორიის რეაბილიტაციას, საავტომობილო გზისა და გამარჯვების სკვერის მოწყობას რეგიონული განვითარების ფონდი ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად ახორციელებს.

პროექტი „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ გრძელდება

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერმა-ნინო ლაცაბიძემ და ევროპის საბჭოს კონგრესში დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა - ლევან ჟორჟოლიანმა, ათეა-ს აღმასრულებელ დირექტორთან - დავით მელუასთან და ასოციაციის წევრი თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან - ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან - დევი დევიძესთან, და ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან-ნანა თავდუმაძესთან ერთად, ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული პროექტის - „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“, მმართველი კომიტეტის მეორე სხდომაში მიიღეს მონაწილეობა.

სამუშაო ძალა მცირდება, პენსიონერთა რიცხვი კი იმატებს

PMC კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, 2017-დან 2022 წლამდე პენსიის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა, ასევე, გაიზრდა სახელმწიფო ასიგნებები პენსიებზე. ორგანიზაციის კვლევა 2017-2021 წლებში საქართველოში საპენსიო სისტემას ეხება.

დოკუმენტის მიხედვით, 2017-2022 წლებში საქართველოს მოსახლეობა 38 ათასით შემცირდა და დაახლოებით 3.6 მლნ შეადგინა, ამ პერიოდში კი 31 ათასით გაიზარდა 65 და მეტი წლის მოსახლეობის ოდენობა და 570 ათასს მიაღწია. ამის საპირისპიროდ, შრომისუნარიანი მოსახლეობა (15-64 ასაკობრივი კატეგორია) 101 ათასით შემცირდა და დაახლოებით 2.3 მლნ შეადგინა.

„გასაკვირი არ არის, რომ 2017 წლიდან 2022 წლამდე, შრომისუნარიანი მოსახლეობის კლებასთან და 65 და მეტი წლის ასაკის მოსახლეობის მატებასთან ერთად, მცირდება სამუშაო ძალა და იზრდება პენსიის მიმღებთა რიცხვი. 2017 წლიდან 2021 წლამდე სამუშაო ძალა 7%-ით შემცირდა და 1,534 ათასი ადამიანი შეადგინა. საპირისპიროდ, გაანალიზებულ პერიოდში პენსიის მიმღებთა რაოდენობა 8%-ით გაიზარდა და 794 ათასი ადამიანი შეადგინა. სამუშაო ძალა შემცირდა და პენსიის მიმღებთა რაოდენობა მცირედით გაიზარდა 2022 წლის პირველ კვარტალშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, სამუშაო ძალა კიდევ უფრო შემცირდება და პენსიის მიმღები ადამიანების რაოდენობა გაიზრდება. პროგნოზის მიხედვით, 2030 წლისთვის პენსიის მიმღებთა რაოდენობა 950 ათასს გადააჭარბებს, ხოლო სამუშაო ძალა 1,430 ათასამდე შემცირდება“,- წერია კვლევაში.

აქვე აღნიშნულია, რომ 2017 წლიდან 2021 წლამდე საბაზისო პენსია ლარში 33%-ით გაიზარდა 240 ლარამდე გაიზარდა, თუმცა ლარის გაუფასურების გამო დოლარში ზრდა უმნიშვნელო იყო. პენსიის ოდენობა 72 დოლარიდან 75 დოლარამდე მერყეობდა.

„პენსიის მიმღებთა რაოდენობისა და საბაზისო პენსიის ზრდასთან ერთად, შესამჩნევად გაიზარდა პენსიაზე გამოყოფილი ასიგნებები - 1.69 მილიარდი ლარიდან 2.57 მილიარდ ლარამდე. საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა კი 11% შეადგინა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლიდან 2022 წლამდე გაიზარდა პენსიის მიმღებთა რაოდენობა. შესაბამისად, გაიზრდა სახელმწიფო ასიგნებები სახელმწიფო პენსიებზე. აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში სახელმწიფო პენსიის ოდენობა ლარში გაიზარდა. თუმცა, ლარის გაუფასურების გამო, ის დოლარში უცვლელი დარჩა.

ამიტომ, სახელმწიფო პენსიის მსყიდველუნარიანობის და პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტის არსებული დონის შესანარჩუნებლად, საქართველოს მთავრობამ, 2020 წელს შემოიღო პენსიის ინდექსაცია. ამასთან, საპენსიო სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად 2018 წელს დაინერგა დაგროვებითი საპენსიო სქემაც. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე 40 და მეტი წლის ასაკის პირთა 42% გამოვიდა სისტემიდან , იმის შანსი, რომ დაგროვებითმა საპენსიო სქემამ მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს პენსიონერების ცხოვრების დონეზე, შესაძლოა დაბალი იყოს“,-აცხადებენ PMC-ში.

ტექინსპექტირების გაუვლელობაზე ჯარიმა რამდენჯერმე იზრდება

2022 წლის მესამე კვარტლიდან ტექინსპექტირების გაუვლელობაზე გადასახდელი ჯარიმები სამჯერ და, ზოგ შემთხვევებში, მეტჯერ გაიზრდება. პარლამენტში უკვე მზადაა კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმების ოდენობის გაზრდას იმ ავტომფლობელებისთვის, ვინც სავალდებულო ტექინსპექტირების გაუვლელად გადაადგილდება.

დღეისათვის, ტექინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ჯარიმა 50 ლარია, რომელიც ინსპექტირების ვადის გადაცილებიდან 1 თვეში დაეკისრება ავტომობილის მფლობელს. ჯარიმის დაკისრება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ე.წ. ჭკვიანი საგზაო კამერა აფიქსირებს ასეთ შემთხვევას. ყოველ მომდევნო შემთხვევაზე, განმეორებითი ჯარიმა კვლავ 50 ლარია.

კანონის ცვლილების შემდეგ, პირველადი ჯარიმა კვლავ 50 ლარი დარჩება, თუმცა, თუ ავტომფლობელი დაჯარიმებიდან 1 თვის განმავლობაში ისევ არ გაივლის ტექინსპექტირებას, მეორე ჯარიმა უკვე სამჯერ მეტი, 150 ლარი იქნება. მესამედ დაჯარიმების შემთხვევაში მას 300 ლარის და მეოთხე და ყოველ მომდევნო შემთხვევაზე 900 ლარის გადახდა მოუწევს.

იურიდიული პირებისთვის ჯარიმები კიდევ უფრო მეტად იზრდება - ორგანიზაციის კუთვნილი ტრანსპორტი ტექინსპექტირების გაუვლელობის გამო პირველ ჯერზე 200 ლარით დაჯარიმდება. ყოველ მომდევნო შემთხვევაში კი ჯარიმები 300 ლარით, 500 ლარით და 1500 ლარით განისაზღვრება.

კანონპროექტი საგაზაფხულო სესიაზე იქნება ინიცირებული და ცვლილებების კენჭისყრა საშემოდგომო სესიაზეა დაგეგმილი, რაც ნიშნავს რომ შემოდგომიდან ტექინსპექტირება გაუვლელ ავტომფლობელებს უკვე სამჯერ და მეტჯერ გაზრდილი ჯარიმების გადახდა მოუწევთ.

„დღეისათვის ხშირია შემთხვევები, როდესაც ტექინსპექტირება გაუვლელი ტრანსპორტი ისე გადაადგილდება, მათ შორის, ჭკვიანი კამერებით აღჭურვილ გზებზეც, რომ მისი დაფიქსირება და დაჯარიმება არ ხდება, რაც იმას ნიშნავს რომ ადმინისტრირება და კონტროლი გამართულად ვერ ხორციელდება“, - აღნიშნავს კავშირის „ტექინსპექტირება უსაფრთხოებისთვის“ აღმასრულებელი დირექტორი, **გიორგი შიოლაშვილი.**

შიოლაშვილის თქმით, „იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც კამერა აფიქსირებს დარღვევას და იწერება ჯარიმა, ავტომფლობელები ხშირად ისევ 50 ლარიანი ჯარიმის გადახდას არჩევენ ტექინსპექტირების გავლას, რომელიც 60 ლარი ღირს. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, მათთვის ეს პრაქტიკა ფინანსურად გამართლებული ვეღარ იქნება, რადგან ჯარიმა სერიოზულ მძიმე ტვირთად დააწვება მათ ბიუჯეტს“.

სავალდებულო ტექინსპექტირების რეფორმა, როგორც ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება, საქართველოში 2019 წლიდან ამოქმედდა. რეფორმის პირველი წელი საკმაოდ წარმატებული იყო, თუმცა 2020 წლიდან მკვეთრად შემცირდა ავტომფლობელების მიერ ტექინსპექტირების გავლის მაჩვენებელი.

ამ სფეროს წარმომადგენლების შეფასებით, მომართვიანობის შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზი, პანდემიასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან არასთანადო კონტროლი და ადმინისტრირებაცაა - როდესაც გამართულად არ ხდება ტექინსპეტირების ვადაგადაცილებული ტრანსპორტის კონტროლი და დროული დაჯარიმება, ავტომფლობელები სულ უფრო მეტად არიდებენ თავს სავალდებულო ტექინსპექტირებას. საბოლოოდ კი, გაუმართავი ტრანსპორტის მომრავლება საგზაო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური გარემოს გაუარესებაზე, ანუ, რეალურად, ადამიანების სიცოცხლეზე და მათ ჯანმრთელობაზე აისახება.

პარალელურად, გადახედვის პროცესშია ტექინსპექტირების საფასურის საკითხი.

„ჩვენი ინფორმაციით, იგეგმება განმეორებითი ინსპექტირების საფასურის მომატება. როგორც მოგეხსენებათ, 2019 წელს, ტექინსპექტირების რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფომ გარკვეული შეღავათები გაითვალისწინა მოსახლეობისთვის. მათ შორის, ეს იყო განმეორებით ინსპექტირების უფასოდ გავლა, პირველადი წარუმატებელი ტექინსპექტირებიდან 30 დღის ვადაში. თუმცა, თანდათან გადავდივართ ახალ ეტაპზე, სადაც უკვე ვალდებული ვართ, მაქსიმალურად დავუახლოვდეთ ევროკავშირის კანონმდებლობას.”, - ამბობს შიოლაშვილი.

მისი განმარტებით, ევროპულ ქვეყნებში, განმეორებითი ტექინსპექტირება ფასიანია და პირველადი ინსპექტირების საფასურის 30-40%-ს შეადგენს. შესაბამისად, იგეგმება, რომ ახლო მომავალში, საქართველოში, განმეორებითი ინსპექტირების საფასური ამ ფარგლებში დაწესდეს.

ინდუსტრიის წარმომადგენლების აზრით, ეს ცვლილება ხელს შეუწყობს იმას, რომ ავტომფლოგელები პირველად ინსპექტირებაზე უფრო მეტად მომზადებულები მივიდნენ, რაც შეამცირებს განმეორებითი ინსპექტირების საჭიროების მაჩვენებელს. ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს გამართული და უსაფრთხო ავტოპარკის არსებობას ქვეყანაში.

პური კიდევ გაძვირდა – მიზეზები და პროგნოზები

დედოფლისწყაროში ალოობა დაიწყო. წელს ხორბლის მწარმოებლები უხვ მოსავალს ელიან, თუმცა, მანამდე, საქართველოში პურის ფასი კიდევ იზრდება. როგორც ექსპერტები ამბობენ, საქართველოს პურის ბელელი ქვეყანას პურით მთლიანად ვერ უზრუნველყოფს და მოსახლეობის გამოსაკვებად ხორბლისა და ფქვილის შემოტანაა საჭირო.

▶ მთელი საქართველოს მასშტაბით და, მათ შორის, დედოფლისწყაროში მოქმედ თონეებშიც პურის ფასი გაიზარდა და მან 1.20 ლარი შეადგინა. პურის შესაძენად მისულ მომხმარებელს ფასის ზრდა გარეთ გამოკრულმა აბრამ ამცნო. როგორც თონის მეპატრონეები „შირაქთან“ საუბარში აცხადებენ, პურზე ფასის ზრდა საწვავის და ფქვილის გაძვირებამ გამოიწვია.

„მხოლოდ ბოლო ერთ კვირაში ფქვილზე ფასი 6 ლარით არის გაზრდილი“ - ამის შესახებ წისქვილკომბინატ „ბარაქას“ დირექტორმა, ლადო ბიძინაშვილმა ისაუბრა.

მისი თქმით, გაძვირების მიზეზი თვითღირებულების ზრდასთან ერთად, რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ლოჯისტიკის გაძვირებაცაა.

„მსხვილი წისქვილკომბინატები გაჩერებულია თითქმის სამი თვეა. ბაზარზე დარჩენილმა ორმა წისქვილკომბინატმა, მათ შორის ჩვენც, მუშაობა 2 კვირაა შევაჩერეთ. გამომდინარე იქედან, რომ მუშაობას აზრი აღარ ჰქონდა.

რაც შეეხება იმპორტს, რუსეთიდან შემოდის ფქვილი. გასაგები მიზეზის გამო, ფქვილზე საექსპორტო გადასახადი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ბოლო 1 კვირაში ფქვილზე ფასი 6 ლარით არის გაზრდილი 50 კგიანი ტომრის შემთხვევაში. საპროგნოზო ფასი კი, კიდევ უფრო მაღალია, გამომდინარე იქედან, რომ მოთხოვნა იზრდება საქართველოდან და მწარმოებლები ფასს ხელოვნურადაც ზრდიან. მეორე მიმართულებაა ის, რომ ლოჯისტიკის ჯაჭვში პრობლემებია. საქართველოში ორი სატრანსპორტო გზით შემოდის ხორბალი - რკინიგზით და საავტომობილო გადაზიდვებით. სარკინიგზო გადაზიდვის ფასი, ბოლო 2 კვირაში 6 დოლარით გაძვირდა. სამანქანო გზით კი, მოგეხსენებათ რა მასშტაბისაა ლარსზე რიგები. ადრე თუ 3-4 დღე სჭირდებოდა ტრაილერის გადაზიდვის ციკლს, ახლა ვადა 10 დღემდე გაიზარდა. ეს ორივე ზრდის ლოჯისტიკის ხარჯს და ეს აისახება ფასზე.

ასევე, რუსულ წისქვილებთან ანგარიშსწორება რუბლში ხდება, რუბლის გამყარებამ კი თვითღირებულების ზრდა გამოიწვია. დღეს, რუსული წარმოების ფქვილზე ფასი 85 ლარია. ამიტომაც პურის მწარმოებლები თვითღირებულებაში ველარ ეტევიან. თან, პურის მწარმოებლებსაც აქვთ ძალიან ბევრი პრობლემა, ერთი არის ის, რომ ხარისხი არ არის სტაბილური. სხვადასხვა ხარისხის ფქვილი შემოდის. მომწოდებლების შემთხვევაშიც არის გარკვეული პრობლემები. სხვა დეტალებზე ალბათ, უკეთ იტყვიან პურის მწარმოებლები.

„ხორბლის მარაგს რასაც ეძახიან, ეს გვაქვს მოსავალში, რომელიც დაახლოებით იქნება 150 000 ტონის ფარგლებში. აქედან, ყველა არ გამოდგება გადასამუშავებლად ფქვილისთვის, რაღაც რაოდენობა მეცხოველეობის წარმოებისთვისაა. ჩვენი ორგანიზაცია ჰოლდინგურია, დასავლეთში გვაქვს პურის ქარხანა და ასევე, გვაქვს კახეთში ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს მთლიან ციკლს, თესვიდან-მოყვანამდე და დაბინავებამდე. აქედან გამომდინარე, სრულ ჯაჭვთან გვაქვს ურთიერთობა.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი პრობლემა აქვთ მცირე ფერმერებსაც, რომლებიც ბოლო ერთი კვირაა მუდმივად მირეკავენ და მეკითხებიან, რა ქნან, თუ წისქვილები გაჩერდა, როგორ გადაამუშაონ ხორბალი? რეალურად, დაანონსებული გვაქვს თვითუზრუნველყოფის გაზრდა და ამ დროს, რეალურად მწარმოებლები გაჩერებული ვართ. ტექნიკურად რომ ავიღოთ, წისქვილკომბინატების მუშაობა არ არის ასე, რომ ღილაკს თითი დააჭირო, ჩართო და გამორთო. ჩვენი ყოფილი თანამშრომლების დაახლოებით 30%-თან კონტაქტზეც ველარ გავდივართ. ზოგი, საერთოდ ქვეყნის გარეთ გავიდა სამუშაოდ, ზოგი სხვაგან დასაქმდა და ცხადია, მათი მობილიზება არ არის მარტივი. თვენახევარი მაინც დასჭირდება წისქვილის თავიდან ჩართვას, მაშინ როცა, საქართველოს ხორბლის სრული მოსავალი, წისქვილისთვის 2 თვის გადასამუშავებელია. შესაბამისად, მე გარანტიას გაძლევთ, ვერცერთი დიდი წისქვილი ვერ დაიწყებს საწარმოო პროცესს. ამასთან, ბევრი ნიუანსია, თუ არ მოხდა შერევა სხვა რუსული, ან ყაზახური ხორბლის, ვერ მოხდება დაფქვა, რადგან შემდეგ ცხობაშია პრობლემები და ა.შ.“, - განაცხადა ბიძინაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში ხორბლის ექსპორტზე დაწესებული გადასახადის გამო, საქართველოში მისი იმპორტი შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა ფქვილის იმპორტი, რაზეც მთავარ იმპორტიორ ქვეყანას საექსპორტო გადასახადი დაწესებული არ აქვს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წლის აპრილში საქართველოში იმპორტირებულია 8 181 ტონა ხორბალი და მესლინი (2.9 მილიონი აშშ დოლარი), რაც 2021 წლის აპრილის მაჩვენებელზე, 31 140 ტონაზე (7 364 მილიონი აშშ დოლარი), 73%-ით ნაკლებია.

წელსაც ქვეყანაში ხორბლის მთავარი შემომტანი რუსეთია - აპრილში ჩრდილოელი მეზობლისგან 8 117 ტონა ხორბალი ვიყიდეთ, რაც მთლიანი რაოდენობის 99%-ია. დანარჩენი 1% ყაზახეთსა და ავსტრიაზე მოდის.

„საქართველოში დიზელის საწვავის დეფიციტია“ – რატომ ძვირდება დიზელის საწვავი

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში დიზელის საწვავის ღირებულება იზრდება. ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე ერთი ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულება 4,40 ლარს გადაცდა. როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელმა ვანო მთვრალაშვილმა „ბიზნეს პალიტრას“ ეთერში განაცხადა, „საქართველოში დიზელის საწვავის დეფიციტია“, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან იმპორტის მნიშვნელოვანი შეფერხება.

„დღესდღეობით დიზელის საწვავის ძირითადი მომწოდებელი ჩვენთვის აზერბაიჯანია. უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში აზერბაიჯანი ველარ გვაწვდის დიზელის საწვავს, რისი გამომწვევი მთავარი მიზეზი არის ის, რომ აზერბაიჯანში მიმდინარეობს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გადაიარაღება. დღესდღეობით ამ პროდუქტის იმპორტის 40-45% სწორედ აზერბაიჯანიდან ხორციელდებოდა. მეორე მიზეზი არის რუსეთის ფედერაციიდან შეფერხებული იმპორტი. რუსეთი, როგორც აგრესორი ქვეყანა, ახლა ომშია და შესაბამისად, ეს საწვავი ომს ხმარდება. ასევე ახლა მიმდინარეობს მოსავლის აღების პროცესი, რაც თავის მხრივ, მოითხოვს დიდი რაოდენობით დიზელის საწვავს.

საბოლოო ჯამში, ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა საქართველოში დიზელის საწვავის დეფიციტი და შესაბამისად, ფასების ზრდა. ცხადია, საქართველოს შესაძლებლობა აქვს, რომ გადაერთოს ალტერნატიულ მომწოდებლებზე, თუმცა, მათი ფასი გაცილებით ძვირია“, - აღნიშნავს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი.

სატაცურის მწარმოებლებმა ახალი ბაზრები აითვისეს

საქსტატის მიმდინარე წელის იანვარი-მაისის მონაცემებით, სატაცურის ექსპორტი გაიზარდა. კერძოდ, 2022 წელს საქართველოდან 13.9 ტონა (88.2 ათასი აშშ დოლარი) პროდუქტი გავიდა, გასული წლის 5 თვეში - 12.8 ტონა (81.9 ათასი აშშ დოლარი)

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, სატაცური მხოლოდ ორ ქვეყანაში, კერძოდ, რუსეთსა და სომხეთში გავიდა, საიდანაც 99%-ზე მეტი რუსეთზე (12.8 ტონა - 81.4 ათასი აშშ დოლარი) მოდიოდა. თუმცა, მიმდინარე წელს ვითარება შეიცვალა და რუსეთში სატაცურის ექსპორტი განახევრდა. ამასთან, როგორც ჩანს, მწარმოებლებმა ახალი ბაზრები აითვისეს.

გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც წელს სატაცური გავიდა:

- •რუსეთი - 6.7 ტონა (39.9 ათასი აშშ დოლარი)
- •არაბთა გაერთიანებული საამიროები - 5.4 ტონა (33.1 ათასი აშშ დოლარი)
- •ქუვეითი - 1.4 ტონა (11.6 ათასი აშშ დოლარი)
- •სომხეთი - 0,3 ტონა (3.5 ათასი აშშ დოლარი)

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„მე გაზაფხული მომქონდა თქვენთან"

„მე გაზაფხული მომქონდა თქვენთან, აყვავებული ატმის რტოებით, თქვენ სიყვარულის შეგეძინდათ და მე ისევ წავალ სადმე დროებით!"

იტყვის ნინო ალადაშვილი თავის ლექსში და უმალ სიყვარულის გაზიარება მოგინდებათ. ვინ არის ნინო ალადაშვილი, რომელიც სიყვარულის გაზიარებას, სითბოს გაცემასა და მიღებას გვანდომებს? 1970 წელს დაიბადა, თბილისში. თუმცა, მისი არსება, პიროვნება და შემოქმედების გარკვეული ნაწილიც მის მშობლიურ ქიზიყს, კონკრეტულად კი დედოფლისწყაროსა და არბოშიკს უკავშირდება. ნინომ არბოშიკში დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი - თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. მისი ლექსები რამდენჯერმე დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში", ასევე ლიტერატურულ ჟურნალ „არავში", ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯში". გამოცემული აქვს კრებული „ამომიცანი". სნორედ ამ კრებულის რეცენზიაში ვკითხულობთ: „ნინო გაზაფხულის მესიტყვეა. როგორც ზამთარში მდინარეები წყალნაკლულები არიან და გაზაფხულზე ადიდდებიან, ასევეა მისი შემოქმედება. ასეთივეა მისი სიყვარული დაბადების, სიცოცხლის, შემოქმედების მიმართ. ესაა ცხოვრებისეული ბედნიერების, მაჟორისა და სევდის რექვიემის პოეზია, ქალური ლირიზმი, გრაცია, გრძნობების ჯადოსნური სიმფონია, უსაზღვრო, ზღაპრული ფანტაზიები, სატირული პოეზია, პოეტური სარკაზმი, ანაქრონიზმი უაღრესად თანამედროვე ღირებულებებში, ოსტატობით ამაღლებული და მშვენიერი სიცოცხლის ჰიმნი. მის პოეზიაში, სადაც სიტყვები ხან დარდიმანდებად ილხენენ, ხან ლაღად, უზრუნველად ცელქობენ, ხშირად სევდის, მწუხრის კაეშნით ღელავენ. ეს ნინოს ლექსია!"

სწორედ ამ მრავალფეროვანი გრძნობებისა და შეგრძნებების თანაზიარი გახდა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში შეკრებილი საზოგადოება 17 ივნისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის, ჟურნალისტისა და „დედოფლისწყაროს ქალების" დამფუძნებლის, ლალი მეხრიშვილის ორგანიზებითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარებულ ნინო ალადაშვილის პოეზიის საღამოზე. საღამოს წამყვანმა ლალი მეხრიშვილმა მოკლედ მიმოიხილა ნინო ალადაშვილის ბიოგრაფია, წაიკითხა მცირე ამონარიდები მისი კრებულიდან „ამომიცანი" და ასპარეზი თავად ღონისძიების მთავარ გმირს დაუთმო. სამადლობელი სიტყვის შემდეგ ნინო ალადაშვილმა ისაუბრა თავის ბავშვობასა და იმაზე, თუ როგორ გაჩნდა ლექსი მის ცხოვრებაში:

„ძალიან დიდი მადლობა მასპინძლობისთვის. ძალიან დიდი მადლობა ყველა სტუმარს, ვინც აქ მობრძანდა, შეწუხდა და დაინტერესდა ჩემი შემოქმედებით. მადლობა ორგანიზატორებს, ვინც დაორგანიზა ეს საღამო. ალბათ, არავის ეწყინება, თუკი განსაკუთრებულ მადლობას ვეტყვი ლალი მეხრიშვილს, მისი უდიდესი მონდომების შედეგია, რომ დღეს აქ ვარ. ის ნამდვილად დიდი მონდომებისა და ენთუზიაზმის მქონე ადამიანია. პოეზიის ქომაგია. ჩემზე სალაპარაკო, ვფიქრობ, ბევრი არაფერია, უკვე გითხრათ ვინ ვარ, რას ვაკეთებ. წიგნების დამსახურებით ჩემი ბავშვობა ძალიან ბედნიერი და ლამაზი იყო. ძალიან მიყვარდა წიგნის კითხვა. ერთი სული მქონდა როდის დაიწყებოდა არდადეგები, რომ ჩვენი სახლის მრავალფეროვანი ბიბლიოთეკიდან გამომეტანა წიგნები და გადავსულიყავი სულ სხვა სამყაროში, რომლითაც დღემდე მოვდივარ და აი იმ ლიტერატურული პერსონაჟებით ვცოცხლობ, ვსუნთქავ. როგორც ამბობენ ჯიუტი ბავშვი ვყოფილვარ. და მგონია, რომ ლექსებშიც გამოხატულია ჩემი სიჯიუტე."

„პაბარ გემი"

ბატარა გემი ვარ,
აისბერგს თოვლიანს,
ვაწყდები, ვასკდები
და სულს არ მოვითქვამ.
ვამსხვრევ და ვიმსხვრევი,
ბოლომდე ვიშლები.
ვჩერდები...ვისვენებ.
ნამსხვრევებს ვიხსენებ.
საუვირით მიხმობენ
გემები შორიდან,
მაინც ვერ ვეღევი
აისბერგს თოვლიანს.
არ წავალ! ვიქნები!
მე ჩემსას გავიტან
და კიდევ დამსხვრევას
ჯიუტად ავიტან.
ვისვენებ...ვეწუობი
ხელახლა თავიდან
და ისევ ვასკდები
აისბერგს თოვლიანს.

„საიდან მოვიდა პოეზია ჩემთან? საინტერესო კითხვაა, რადგან ბავშვობაში ერთი სტრიქონიც კი არ მაქვს დაწერილი. წიგნებს კი ვკითხულობდი, ძალიან ბევრს, მაგრამ არასოდეს მომსვლია აზრად, რომ ლექსი დამეწერა. არც შემდგომ, სტუდენტობის დროს დამიწერია რამე. მაგრამ აი, მოულოდნელად, 40 წლის ასაკში, რატომღაც მომინდა, რომ ლექსით გადმომეცა ჩემი ემოციები. იყო პირადი ამბებიც, მამა გარდამეცვალა, რომელიც ჩემთვის კერპი, მისაბაძი მაგალითი და საიმედო საყრდენი იყო. ძალიან დიდი ტკივილი განვიცადე მამის გარდაცვალების გამო. რაღაც ძლიერი ემოცია გაწერინებს ადამიანს ლექსს და, ვფიქრობ, ამან განაპირობა ჩემი ლექსების წერაც. სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა მამა, რომ ჩემი ლექსი არ წაუკითხავს. არ იცოდა, რომ ლექსებს ვწერდი."

„მამას"

გთხოვ, ნუ იფიქრებ, რადგან ჩუმად ვარ,
სათქმელი არ მაქვს, ანდა ვერ ვგრძნობდე,
მაგრამ შენ თვითონ ისე დიდი ხარ,
უძლური სიტყვით როგორ შემოგწვდე?!
არ შემიძლია, შენზე ვიფიქრო,
ისეთი ღრმაა სულში იარა.
ალბათ დადგება მშვიდად ფიქრის დრო,
ბოლომდე დავცლი სიმწრის ფიალას.
ჯერ გავიხსენებ ბედნიერ წარსულს,
წამებს, რომელსაც მუდამ დავლოცავ,
და მერე დღეებს, ტკივილით გასულს,
რომ შევურიგდე შენს აქ არ ყოფნას.
ახლა კი, როცა დარდი მახელებს,
არ ვიცი, სევდას სად გავეცალო,
მინდა, მაგ თბილ გულს და მაგ დიდ ხელებს,
შემოვუთბე და შემოვეფერო.

ნინოს დედის, ოლიკო დონჯაშვილის პოეზიისადმი სიყვარულმა, დიდი როლი ითამაშა, მისი, როგორც პოეტად ჩამოყალიბების საქმეში. ქალბატონი ოლიკო ცნობილია ლიტერატურისადმი სიყვარულით და არაჩვეულებრივად კითხულობს ლექსებს. მან ბევრ თაობაში ჩანერგა ეს სიყვარული და ბავშვებს ლექსის მხატვრულად კითხვის ოსტატობაში ეხმარებოდა. ოლიკო დონჯაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ინტერესისთვის და ნინოს რამდენიმე ლექსი წაიკითხა:

„უთქმელი სიტყვა"

ცხოვრება გადის...თითქმის გავიდა,
თითქმის გავლიეთ უკვე სავალი,
სიცოცხლე ჩვენი ისე წავიდა,
ვერ მოვუნახეთ ამ გულს წამალი.
დრო აღარ გვაცდის...გვართმევს რაც დაგვრჩა,
შემოგვეძარცვა ირგვლივ ყოველი,
რა ვქნათ, რა ვუყოთ, გულში რა ჩაგვრჩა?
არ ასრულდება, რასაც მოველით.
მზე ჩაილია...თითქმის ჩავიდა,
არ დაილია დარდი ულევი,
ცხოვრება ჩვენი უკვე გავიდა,
რამდენი სიტყვა დარჩა უთქმელი!

დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმაც ისაუბრა ნინოს პოეზიაზე, მის მიგნებებზე, მთავარ ლაიტმოტივზე, სულიერ მდგომარეობასა და ამაღლებულ, ტრაგიკულ სინთეზზე, სადაც სიტყვა ფურცლებიდან შენს სულამდე უცებ იკვლევს გზას.

ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის" მთავარმა რედაქტორმა, **გიორგი ნატროშვილმა** ნინო ალადაშვილს საჩუქრად ალმანახის რამდენიმე ეგზემპლარი გადასცა, სადაც მისივე ლექსებია დაბეჭდილი. გიორგი ნატროშვილმა მათი გაცნობის ისტორიაც გაიხსენა: **„ნინო ალადაშვილის პოეზია ჩვენს ალმანახშიცაა დაბეჭდილი. რაც შეეხება ქალბატონ ნინოსთან ჩემს ნაცნობობას, რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები 2016 წელს, დამირეკა თავად ნინომ და ასეთი სიტყვები მითხრა: როგორც გავიგე ალმანახი გამოდის დედოფლისწყაროში, მამიდას ძალიან სწყდება გული, რომ სხვა ლექსების გვერდით ჩემს ლექსებს ვერ კითხულობს, ძალიან უნდა, რომ ჩემი ლექსებიც დაიბეჭდოსო. შემდეგ თქვენ გადმომიგზავნეთ ლექსები. წავიკითხე და დაიბეჭდა კიდეც, რადგან, ვინც წაიკითხავს ნინოს ლექსებს, რედაქტორი იქნება, პოეტი თუ უბრალოდ პოეზიის მოყვარული, შეუძლებელია, რომ არ მოიხიბლოს. მისი ლექსები სავსეა ერთგვარი მსუბუქი ეროტიზმით და ლირიკით. ეს ყველა ლექსში არ იგრძნობა, მაგრამ, რაც მთავარია, მთელი პოეზია ლირიზმითაა განმსჭვალული. როგორც კი წავიკითხე მისი ლექსები, პირველივე ნომერში დაიბეჭდა: „ამომიცანი", „მამას", დაახლოებით შვიდი ლექსი, რომლებიც აქაც გაჟღერდა. უპირველესად, თქვენს მამიდას მოვახსენებ მადლობას, რომ თქვენი თავი გამაცნო და საშუალება მოგვეცა, საზოგადოებისთვისაც გაგვეცნო თქვენი პოეზია. ასევე მადლობა ქალბატონ ლალის ამ საღამოს მოწყობისთვის."**

საღამოს დედოფლისწყაროს მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** ესსწრებოდა: **„ნამდვილად საამაყოა, რომ ასეთი შვილები ჰყავს ჩვენს მუნიციპალიტეტს. ბევრ პრობლემასა და უამრავი საქმის კეთებაში ისე ჩავერთეთ ყველა, რომ სულიერი მხარე ისე დაგვრჩა. აქ ვინც ვართ, აშკარაა, რომ დღევანდელი საღამოთი ყველა ბედნიერია. ძალიან მიხარია, თქვენი არსებობა და ის, რომ ამ არაჩვეულებრივ საღამოს ვესწრებით. გიორგიმ რომ „ხორნაბუჯი" გისახსოვრათ, ასეთი იდეა დამებადა, მომავალ გაზაფხულზე, როდესაც ხორნაბუჯის ციხე გაკეთებული და გალამაზებული იქნება, საიუბილეო ნომერიც როცა მოუწევს ალმანახს, ღვთის მადლით იმდენი კარგი პოეტი გვყავს, რომ შეგვიძლია ხორნაბუჯის ციხეზე ჩავატაროთ ერთი კარგი, საინტერესო, ლიტერატურული ღონისძიება. ეს იქნება ერთმანეთის გვერდში დგომა. ძალიან მიხარია, რომ არბოშიკს, რომელიც არის ძირძველი, ისტორიული, ქიზიყური სოფელი, რომელიც გამოირჩეოდა და ხალხში აქვს კულტურული სოფლის სახელი, კულტურის კერის, ბევრი განათლებული ადამიანი ჰყავს. იმდენად უშრეტი საბადოები გვაქვს ამ კუთხით, რომ შეიძლება ყოველ კვირაც კი გვქონდეს მსგავსი შეხვედრები. რა თქმა უნდა, ხარისხი პრიორიტეტულია, მაგრამ ორ თვეში ერთხელაც რომ გავაკეთოთ, ძალიან კარგი იქნება. მეტი მსგავსი საღამო როდესაც იქნება, მეტ ნიჭიერ ადამიანს დავინახავთ და მისაბაძიც მეტი იქნება ახალგაზრდობისთვის. უღრმესი მადლობა თქვენ, მიხარია, რომ გაგიცანით. აუცილებლად სხვა დროსაც შევხვდებით. ვამაყობ, რომ ასეთი პოეტი ჰყავს დედოფლისწყაროს."**

არბოშიკის მუსიკალური სკოლის ყოფილი დირექტორის, ახლახან გარდაცვლილი კომპოზიტორის, უკეთილშობილესი და ყველასთვის საყვარელი ადამიანის, ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოები შეასრულა მისმა ქალიშვილმა, ვიოლინოს პედაგოგმა თამარ კიკილაშვილმა. ნინო ალადაშვილის ლექსები წაიკითხეს კესო გოგაშვილმა და მარიამ ალულიშვილმა. მათი შესრულება საოცრად ამაღლევებელი აღმოჩნდა დარბაზისთვის და თავად პოეტისთვისაც.

ნინო ალადაშვილი დედასთან, ოლიკო დონჯაშვილთან ერთად

დასასრულს, ისევ კრებულის რეცენზიას დავესესხები: „ნინოს პოეზიის ლაიტმოტივი - თავისუფლებისკენ სწრაფვა, განთავისუფლება ჟამთა მიმდინარეობისგან, პოეტური ექსტერიორიზაცია, სულიერი აფეთქება, ლტოლვა მაღალი მიზნებისკენ, მისწრაფება იდეალებისადმი მშვენიერების არსებობისკენ, რომლის დასაბამი იკარგება დაუსრულებლობაში:

„გაფრინდი სულო! მე აღარ გიჭერ,
აღარ ხარ ჩემი ჭირისუფალი
გათავისუფლებ, იყავი ისევ,
სული - ჩიტივით თავისუფალი".

„ლექსი ვარ შენთვის ნათქვამი და ამომიცანი" - წერს პოეტი. მრავალუცნობიანი უტოლობაა ნინოს პოეზია, რომლის ამოცნობასაც ნუ შეეცდებით, მხოლოდ დატკბით უბრალოების პოეზიით."

ძნელია ამ სიტყვებს არ დაეთანხმო. ნინოს პოეზია იმდენად ახლოა თითოეულ ჩვენგანთან, რომ ხანდახან გვგონია, ის ჩვენ, მე, თქვენ, სხვამ დაწერეთ. ის, იმ სამყაროში გვამოგზაურებს, სადაც სიჯიუტე დათმოგებთან, სიყვარული ბრაზთან, სინანული იმედთან, გულგატეხილობა კი მომავლის რწმენასთან მეგობრობს. თუ ჯერ არ გაცნობიხართ მას, ამ შეგრძნებებთან შეხვედრის ბედნიერება ნამდვილად წინ გაქვთ. სხვა რალა დამრჩენია, რომ გითხრათ...ბედნიერ მოგზაურობას გისურვებთ!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ახალგაზრდული ფესტივალი ქვემო ქედში

ბოლო ხანს დედოფლისწყაროს სოფლებში ტრადიციად იქცა ახალგაზრდული ფესტივალების ორგანიზება. ამის დასტური ქვემო ქედის ახალგაზრდული ფესტივალი იყო. ამგვარი საზაფხულო ფესტივალები გასულ წლებში სამრეკლოსა და სხვა სოფლებშიც ჩატარდა. იდეაც და ჩანაფიქრის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსიც თავად სოფლების მაცხოვრებელ მოზარდებს ეკუთვნით. ზოგადად, ზაფხულის სეზონი ამგვარი აქტივობებით გამორჩეულია. სასიამოვნია ისიც, რომ სასწავლებლად დედაქალაქში გადასული სტუდენტები საკუთარი სოფლის განვითარებაზე ფიქრს არ წყვეტენ და ზაფხულის შინაარსიანად გატარებას ახერხებენ.

EU4Youth Alumni Network-ის ფარგლებში ქვემო ქედში ახალგაზრდული ფესტივალი ჩატარდა. კურსდამთავრებულთა ქსელი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ენთუზიაზმისა და ნებაყოფლობითი სულისკვეთების შენარჩუნებას და მობილიზებას, რომლებიც ევროკავშირის ახალგაზრდების განვითარებისკენ მიმართულ პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის დროს წარმოიქმნება. ქსელის წევრებს ეძლევა შესაძლებლობა, რომ დაუკავშირდნენ და მხარი დაუჭირონ სხვა ისეთი ახალგაზრდებს, რომლებიც ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან. ქსელის წევრი კურსდამთავრებულების მიზანია მხარი დაუჭირონ სხვა ახალგაზრდებს, რათა გახდნენ უფრო აქტიური თავიანთ თემებში და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ევროკავშირის მობილობის პროგრამებში.

გაზეთი „შირაქი“ ფესტივალის ორგანიზატორს, სალომე ბარამაშვილს ესაუბრა:

– „აღნიშნული პროექტი ქვემო ქედში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ნოემბრიდან ხორციელდებოდა, რის დასკვნითი ნაწილსაც ახალგაზრდული ფესტივალი წარმოადგენს. ამ თვეების მანძილზე სამიზნე ჯგუფის წევრებს მათ ინტერესებზე მორგებული ტრენინგები ჩაუტარდათ, რომლებიც მიმართული იყო მათი სამომავლო განვითარებისკენ, კარიერის დაგეგმვისა და ევროკავშირში ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი შესაძლებლობების გაცნობისკენ.

– სალომე, როგორ გაჩნდა ფესტივალის იდეა?

– EU4Youth Alumni Network-ის ფარგლებში ქვემო ქედში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, რომლებიც საინიციატივო გუნდის სახით გაერთიანდნენ, რამდენიმე თვიანი მუშაობის შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ ქსელის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტი მიმართულიყო ისეთი საქმისათვის, რაც ახალგაზრდების აქტივიზმის მნიშვნელობას გაუსვამდა ხაზს. შესაბამისად, მოტივირებული და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდების საშუალებით გაჩნდა იდეა, რომლის წარმატებით განხორციელებაში თითოეულმა მონაწილემ დიდი შრომა ჩადო.

– რისი თქმა გინდოდათ ამ ფესტივალით?

– ფესტივალის მთავარი მიზანი ახალგაზრდების საკუთარ თემისა და საზოგადოების განვითარებაში მათი ჩართულობის მნიშვნელობის გამოკვეთა იყო. ამასთანავე, ფესტივალის მაგალითზე ახალგაზრდებმა დაინახეს, როგორი დადებითი გავლენა და სარგებელი შეიძლება მოახდინონ მათ და მათმა ინიციატივებმა საკუთარი თავისა და სხვების განვითარების კუთხით.

ქვემო ქედი ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი სოფელია, რომლიდანაც ახალგაზრდების გადინების დონე დიდია. ეს პრობლემა, თავისმხრივ, გამოწვეულია სხვადასხვა პრობლემური ფაქტორით, რისი შეცვლაც ან გადაჭრა მარტივად ან მოკლე დროში ვერ მოხერხდება. თუმცა, მნიშვნელოვანია და აუცილებელია

ახალგაზრდებმა დაინახონ განვითარების შესაძლებლობები, ეძიონ ის გამოსავალი, რაც მათ და მათ სოფელს გამოადგება. საინიციატივო გუნდს გვჯერა, რომ დიდი ცვლილებების მოხდენა პატარ-პატარა ნაბიჯებით და ენთუზიაზმით სავსე ინიციატივებით იწყება. შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ ბევრი ადამიანისთვის ეს და სხვა აქტივობები შთაგონების წყარო გახდება, რომ დაუბრუნდნენ სოფელს, მხარი დაუჭირონ ენთუზიაზმით და იდეებით სავსე ახალგაზრდებს, რომლებიც პროგრესისკენ მიდიან. ეს არის ყველას საქმე, ეხება ყველას - ადგილობრივი თვითთმართველობა, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი თუ უბრალოდ სოფლის მაცხოვრებელი უნდა შეურთდეს და დაუჭიროს მხარი მსგავს ინიციატივებს.

– რა შედეგი მოუტანა სოფელს ფესტივალმა?

– ფესტივალს ქვემო ქედელი ბავშვებისა და ახალგაზრდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დაესწრო. გარდა ამისა, სტუმრები მეზობელი სოფლებიდანაც მოვიდნენ. მათთვის ორგანიზებული იყო შემეცნებითი და გასართობი აქტივობებები; დახვდათ გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოადგინეს ხელნაკეთი ნივთები და ნახატები. ახალგაზრდებმა გაიცნეს ერთმანეთი, ჩაებნენ სახალისო აქტივობებში. ჩვენი მიზანიც ეს იყო.

ჩვენს სოფელში ძალიან ნიჭიერი, მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდები ცხოვრობენ და ფესტივალის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამაში. სასიხარულო და ამაღელვებელი იყო მზადების პროცესის ყურება - საინიციატივო გუნდის წევრებმა საორგანიზაციო საკითხები გადაინაწილეს, მზადების დროს ბევრი წინაღობა შეხვდათ, თუმცა ყველაფერი წარმატებით გადალახეს და ერთი ლამაზი დღე აჩუქეს ბავშვებს, ახალგაზრდებს.

– გვიამბეთ მხარდამჭერების შესახებ...

– ახალგაზრდული ფესტივალი ქვემო ქედში EU4Youth Alumni Network-ის ფარგლებში ჩატარდა, რაც ასევე მოიაზრებს ფინანსურ მხარდაჭერას. გარდა ამისა, თანადაფინანსებით სახით შემოურთდა არქიტექტურული გამოცდილების მიმწოდებელი კომპანია „ჰურო“, სადაც სჯერათ, რომ შესაძლებელია ისეთი სივრცის დაპროექტება, რომელშიც ადამიანი ყველაზე ბედიერი იქნება. ფესტივალზე „ჰურომ“ ბედნიერი სივრცე და კომფორტის ზონა შეგვიქმნა. ამასთანავე, მხარდაჭერა გამოგვიცხადა ქვემო ქედის საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ. ფესტივალის მზადების მთელ პროცესში სკოლის ადმინისტრაცია გვერდში გვედგა და ჩვენთან ერთად გაიზიარეს ის დადებითი ემოციები, რაც ამ დღემ ყველას დაგვიტოვა.

მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც მცირედით მაინც შეიტანა წვლილი ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებასა და ჩატარებაში. საინიციატივო გუნდის სახელით, მადლობას ვუხდი თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ფესტივალზე მოვიდა და შემოუერთდა ჩვენს ინიციატივას“.

აქტივობებში ქვემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლების მიმღერლებიც მონაწილეობდნენ. მუნიციპალიტეტი მასშტაბით ამ სოფლის ანსამბლები ყველაზე მრავალრიცხოვანი და აქტიურია. ანსამბლის ხელმძღვანელის თამარ კობაიძის განმარტებით, ბავშვები სასკოლო და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მუდმივად მონაწილეობენ, ამ ფორმატის ფესტივალში ჩართულობა პრინციპულად მნიშვნელოვანია. როდესაც მოზარდებს საორგანიზაციო და სხვა საკითხების გადაჭრაც თავად უწევთ, ეს მათ პიროვნულ განვითარებას ხელს უწყობს.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლიდან – კულტურაში



ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მამუკა ყავრელიშვილი თანამშრომლებს ოფიციალურად 24 ივნისს წარუდგინა.

მამუკა ყავრელიშვილს საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მას ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორის პოზიცია ეკავა.

საგარეჯოში რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, მწერალ რევაზ ინანიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის თქმით, სახლ — მუზეუმის რეკონსტრუქცია — აღდგენითი სამუშაოები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 165 243 ლარით ფინანსდება.

„ეს გახლავთ ადგილი, სადაც დიდმა მწერალმა ადრეული ბავშვობის უზრუნველი წლები გაატარა. პროზის აღიარებულმა ოსტატმა სოფელ ხაშმს არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა. ეს სახლ-მუზეუმი იქნება რეზო ინანიშვილის საცხოვრებელი სახლის პირვანდელ კონსტრუქციასთან მაქსიმალურად მიახლოებული, რათა გავაცოცხლოთ წარსული.

მე ამაყი ვარ, რომ ამ წამოწყების ინიციატორი ვარ. მალე, ერთად, საზეიმო ვითარებაში გავხსნით სახლ-მუზეუმს და ეს იქნება ერთგვარი სტარტი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნებისკენ დაწყებული სვლისა,“- განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

დასაქმების პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები

საქართველოს შრომისუნარიანი, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაჩვენებელმა 2022 წლის პირველ კვარტალში 49,9% შეადგინა, 1,6%-ით მეტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საქართველოს მოსახლეობა ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს. მოსახლეობის დაახლოებით 60% თავს უმუშევრად თვლის. უმუშევარი მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არ არის საკმარისი სამუშაო ადგილი, ან შესაბამისი ანაზღაურება. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი ახალგაზრდა თაობაში, ასაკოვან მოსახლეობასთან შედარებით. დამსაქმებლები, ძირითადად, ახალგაზრდა ასაკშივე ითხოვენ რამდენიმე წლიან გამოცდილებას, რაც შეუძლებელია. შესაბამისად, ვიღებთ უამრავ დაუსაქმებელ ახალგაზრდას.

როგორ განისაზღვრება უმუშევრობა?

უმუშევრობა არის მოვლენა, რომლის დროსაც მოსახლეობის ცალკეული ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს. უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მხოლოდ უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა.

ზოგადად თუ ვისმჯელებთ, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად ორი მიდგომა არსებობს: პირველის მიხედვით, ქვეყანას არ სჭირდება ცალკე არსებული „დასაქმების პოლიტიკა“ და ქვეყნის ეკონომიკის ზრდა ავტომატურად მიგვიყვანს უმუშევრობის შემცირებამდე. მეორე მიდგომის მიხედვით, მართალია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანია, მაგრამ ასევე აუცილებელია ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკა. ამ უკანასკნელს ზურგს უმაგრებს ორი არგუმენტი: პირველი ის, რომ ეკონომიკურ ზრდას აუცილებლად არ მოჰყვება სამუშაო ადგილების ზრდა - ბოლო ათწლეულების განმავლობაში „ეკონომიკური ზრდა დასაქმების გარეშე“ (ე.წ. jobless growth) მთელი მსოფლიოსთვის უმწვავესი პრობლემა იყო. მეორე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეკონომიკურ ზრდას დასაქმების მაჩვენებლის ზრდა მოჰყვება, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ შექმნილი სამუშაო ადგილები ადამიანების ღირსეულ ცხოვრებას უზრუნველყოფენ. აღნიშნულს მოწმობს მსოფლიოს მასშტაბით პრეკარული და ატიპური სამუშაოების გავრცელების ტენდენცია, რომელიც მძიმე წნეხად აწვება ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემებს.

დასაქმების პერსპექტივები გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების მხრიდან კონკრეტული პროფესიებისა და შესაბამისად არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მოთხოვნის ჩამოყალიბებაში. არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, როგორც არის პოტენციური დამსაქმებლების სიმრავლე, დარგის განვითარების დონე, შესაძლო ანაზღაურების ოდენობა. დასაქმების პერსპექტივის 4 თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიკურია სოფლის მეურნეობის დარგი, ვინაიდან, აღნიშნულ დარგში ხშირად დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა სეზონურია, რის გამოც მოსახლეობა ამჯობინებს საზღვარგარეთ წავიდეს სოფლის მეურნეობის დარგში სეზონური სამუშაოს შესასრულებლად უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით.

რაც შეეხება კვალიფიციურ პერსონალს, როგორიცაა დარგის სპეციალისტები (აგრონომი, ვეტერინარი, აგროტექნოლოგი) დარგში აღნიშნული კადრების დეფიციტია, რადგან რეგიონებში არ არსებობს საკმარისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები. ამასთანავე, რადგანაც სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია ძირითადად მცირე და საშუალო ფერმერებისა და საწარმოების სახით, დარგი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას და სასურველი ანაზღაურების შეთავაზებას, რის გამოც მოსახლეობის ინტერესი აღნიშნულ დარგთან დაკავშირებული სპეციალობების მიმართ საკმაოდ დაბალია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19.4 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, საანგარიშო პერიოდში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 49.9 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე 2.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 40.2 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, ქალაქის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 2.7 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. დასაქმების დონე გაზრდილია როგორც ქალაქის ტიპის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში, შესაბამისად 2.2 და 2.9 პროცენტული პუნქტით.

ამასთან, უწყების ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის პირველ კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 68.1 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 3.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში — 1.5 პროცენტული პუნქტით.

საქსტატის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში — 2.7 პროცენტული პუნქტით.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2022 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 39.1 პროცენტს, ხოლო კაცებში 62.5 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში — 2.5 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე როგორც ქალებში, ასევე კაცებში გაზრდილია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად 1.6 და 3.6 პროცენტული პუნქტით.

რა არის უმუშევრობის დონე და რას გვიჩვენებს ის?

უმუშევრობის დონე არის იმის მაჩვენებელი, თუ რამდენი ადამიანია უმუშევარი ქვეყნის სამუშაო ძალიდან. უმუშევრობის დონე პროცენტებში გამოიხატება. თავის მხრივ, სამუშაო ძალა არის ქვეყნის მოსახლეობის ზრდასრული (მინიმუმ 15 წლის), შრომისუნარიანი ნაწილი, რომელიც ან დასაქმებულია, ან სამსახურს ეძებს. მაგალითად, საქართველოში 2021 წელს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა იყო 3 მლნ. აქედან სამუშაო ძალაში შევიდა 1.5 მლნ. 1.5 მლნ-დან 1.2 მლნ იყო დასაქმებული, ხოლო 316 ათასი — უმუშევარი. უმუშევრობის დონემ 20.6% შეადგინა, ანუ 316 ათასი უმუშევარი 1.5 მლნ-იანი სამუშაო ძალის 20.6%-ია.

უმუშევრობის დონე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია. ის უჩვენებს, თუ რამდენად მწვავეა ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა. უმუშევრობის დონეს დიდი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში. უმუშევრობის დონის ცვლილებას, თუ ის მნიშვნელოვნად იცვლება, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებაში გადამწყვეტი როლი აქვს.

არსებულ რიცხვებთან დაკავშირებით, ჩნდება ლოგიკური კითხვა — რის ხარჯზე შემცირდა უმუშევრობა? ახალი სამუშაო ადგილების ხარჯზე? სამწუხაროდ — არა. 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით უმუშევრობა მხოლოდ იმიტომ შემცირდა, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობამ დაიკლო. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც მუშაობის დაწყების სურვილი ჰქონდათ და ვერ იწყებდნენ, მათ უბრალოდ თავი დაანებეს სამსახურის ძებნას ან მიგრაციაში წავიდნენ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 19%, ან თუნდაც უმუშევრობის 16.6% საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში უმუშევრობის ბუნებრივ დონედ ხშირად 3% მიიჩნევა. უმუშევრობის შემცირების მნიშვნელოვანი გზა კი კერძო სექტორის განვითარებაა, რომელიც სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ნელი ტემპით მიდის წინ. კერძო სექტორს კი ავითარებს უცხოური ინვესტიციები, კანონის უზენაესობა, ფართო მასშტაბიანი პრივატიზაცია და კერძო საკუთრების დომინირება. სამწუხაროდ თითოეული კომპონენტის მიმართულებით საქართველო წინ ვერ მიდის, ან თუ მიდის, საკმაოდ ნელი ტემპით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სახელმწიფომ გააქტიურა დასაქმების პოლიტიკა, უმუშევრობის დონე მაღალი რჩება, ხოლო სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი არასტაბილური, დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადია. ჯერ კიდევ 2020 წელს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“-ის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის დოკუმენტების მიხედვით:

•დასაქმების სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისები ხშირად აცდენილია კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ პროგრამებს, როგორიცაა მაგალითად „აწარმოე საქართველო“, რაც საბოლოო ჯამში ბიუჯეტის არაგონივრულ ხარჯვას და აღნიშნული პროგრამების წარუმატებლობას იწვევს.

•მომზადება-გადამზადების და კონსულტაციების სერვისებით სახელმწიფო ზრუნავს ძირითადად შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; თუმცა, ვინაიდან შრომის ბაზარზე მოთხოვნა დაბალკვალიფიციურ მუშახელზეა, საბოლოოდ, ხელი ეწყობა დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნას, რომლებიც დაბალანაზღაურებადი და არასტაბილურია.

•საქართველოში მაღალია შრომის ბაზრის პოლარიზაცია, რაც გულისხმობს საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების კლებას და მაღალკვალიფიციური და დაბალკვალიფიციური სამუშაოების რაოდენობის ზრდას; მაღალი პოლარიზაცია კი თავის მხრივ დასაქმებულებზე უარყოფითად აისახება და ამცირებს „ცუდი“ სამუშაოებიდან „კარგზე“ ტრანზაქციის შესაძლებლობებს;

•მაღალი და მზარდი დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილების რაოდენობა მშრომელებს შორის კონკურენციის ზრდას და შესაბამისად ხელფასების და შრომითი სტანდარტების დაწევას განაპირობებს.

•საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის კომპენსაციის ისეთი გავრცელებული სისტემები, როგორიცაა უმუშევრობის დაზღვევა და უმუშევრობის შემწეობა, რაც სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში ძალიან ბევრ ადამიანს შემოსავლის გარეშე ტოვებს, ხოლო მშრომელებს დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების პროცესში უალტერნატივობის გამო ასუსტებს.

•სოციალური დაცვის სისტემა ძირითადად სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) პროგრამაზე დგას, რომლითაც არაფორმალური და არასტანდარტული შრომით დაკავებულთა დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს;

გაიცა შემდგომი სახის რეკომენდაციები:

•სახელმწიფომ უნდა გააქტიუროს ე.წ. „მოთხოვნის“ პოლიტიკა, რაც არა მარტო შრომის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, არამედ პირველ რიგში ახალი და მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს;

•დასაქმების ეროვნული პოლიტიკა არ უნდა იწარმოებოდეს იზოლირებულად, არამედ უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი;

•მნიშვნელოვანია, რომ დასაქმების სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისები დაკავშირებული იყოს კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებთან, როგორიცაა, მაგალითად, „აწარმოე საქართველოს“ პროგრამა;

•მნიშვნელოვანია, რომ კერძო სექტორისა და ბიზნესის განვითარების პროგრამები მოექცეს გარკვეული „ინდუსტრიული განვითარების“ ჩარჩოს ქვეშ, რომელიც ინოვაციური სექტორების განვითარებაზე და, შესაბამისად, არა მხოლოდ უფრო „მეტი“, არამედ უფრო „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნაზე იქნება ორიენტირებული.

•საქართველოში უნდა დაინერგოს უმუშევრობის შემწეობის სისტემა: 1) მოხდეს საარსებო შემწეობის მიმღებთა ჩართვა „უმუშევრობის შემწეობის“ პროგრამაში, 2) უმუშევრობის შემწეობა უნდა მიემართებოდეს ინდივიდებს და არა ოჯახებს 3) სამუშაოს ძებნის მოტივაციის გასაზრდელად უნდა მოხდეს უმუშევრობის შემწეობის ეტაპობრივი შემცირება შემოსავლების ზრდასთან ერთად; 4) უნდა გამარტივდეს სოციალური დაცვის სისტემაში ჩართვის პროცედურები;

•შრომის ბაზრის პოლარიზაციის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ჰქონდეს სამუშაო ძალის კვალიფიკაციების განვითარების მწყობრი და თანმიმდევრული პოლიტიკა. ასევე, მნიშვნელოვანია, მთავრობამ განიხილოს მინიმალური ხელფასის შემოღების იდეა, რომელიც გაზრდილ ეკონომიკურ უთანასწორობას შეარბილებს;

ისტორიაში პირველად, ქართველი, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად

საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციამ საერთაშორისო მასშტაბით დიდი აღიარება და ნდობა მოიპოვა. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტი ნათია ლოლაძე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ეს გამარჯვება დიდი პატივია როგორც საქართველოს წითელი ჯვრისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვის. გარდა ამისა, ვიცე-პრეზიდენტობა შესაძლებლობების ახალ ფანჯარას ხსნის, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰუმანიტარული ორგანიზაციის მუშაობას საქართველოში.

„ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში გავაკეთებ ყველაფერს, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, რათა მხარი დავუჭირო წითელი ჯვრების ეროვნული საზოგადოებების განვითარებასა და გაძლიერებას. რადგან სწორედ ძლიერი ეროვნული საზოგადოება არის ის, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დროული და ეფექტური რეაგირება ადამიანთა საჭიროებებზე ადგილობრივ დონეზე“, - ამბობს საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტი ნათია ლოლაძე.

ნათია ლოლაძის კანდიდატურას წითელი ჯვრისა და წითელი ნახევართმვარის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევას 192 ქვეყნის წარმომადგენლობამ დაუჭირა მხარი. ასეთი ფართო კონსესუსი და ნდობა წლების განმავლობაში საქართველოს წითელი ჯვრის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა განაპირობა, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის განსაკუთრებული შემთხვევაა.

„სწორედ წლების მანძილზე გაწეულმა თავდაუზოგავმა შრომამ, როგორც ქვეყნიდან, ასევე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის მმართველთა საბჭოდან, ეროვნული საზოგადოებების დასახმარებლად და გასაძლიერებლად, განაპირობა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს 192 ქვეყნის წარმომადგენელმა დაგვიჭირა მხარი და დღეს, ისეთი პატარა ქვეყნის ეროვნული საზოგადოების პრეზიდენტი, როგორიც საქართველოა, გახდა მსოფლიოში უდიდესი ჰუმანიტარული ორგანიზაციის, ვიცე-პრეზიდენტი. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ქვეყანას, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და გამოგვიცხადა უდიდესი ნდობა“, - ამბობს ნათია ლოლაძე.

საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებისთვის ეს არ არის პირველი საერთაშორისო აღიარება. 2017 წელს საქართველოს წითელი ჯვარი, პირველად თავის 100-წლიან ისტორიაში, გახდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 20-კაციანი მმართველი საბჭოს წევრი. გარდა ამისა, 2022 წელს საქართველოს წითელი ჯვარი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გახდა დონორი ორგანიზაცია, რასაც ემატება ისიც, რომ საქართველო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ევროპის მე-11 რეგიონულ კონფერენციის მასპინძელი იყო.

მიღწეული წარმატებები დამატებით საფუძველს ქმნის იმის სათქმელად, რომ საქართველოს წითელი ჯვარი და მისი პრეზიდენტი ნათია ლოლაძე საერთაშორისო მასშტაბით გააძლიერებენ ჰუმანიტარული ორგანიზაციის საქმიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

„ჩვენი გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს წითელი ჯვარს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ჰუმანიტარულ საჭიროებებზე

რეაგირების პროცესზე. ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმმთვარის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტთან და სხვა ვიცე-პრეზიდენტებთან, რათა გავზარდოთ ჩვენი მხარდაჭერა და ფოკუსირება გაზრდილ ჰუმანიტარულ მოთხვნებზე, რაც ამ პერიოდში დგას მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპის წინაშე“, - ამბობს ნათია ლოლაძე.

ნათია ლოლაძის შესახებ

ნათია ლოლაძის საქმიანობა საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნულ საზოგადოებაში 2002 წელს, მოხალისეობით დაიწყო. 2008 წლის ომის შემდეგ, ნათიამ გადაწყვიტა, რომ მისი კარიერა ჰუმანიტარული საქმიანობისთვის საბოლოოდ დაეკავშირებინა და მას შემდეგ, საქართველოს წითელი ჯვრის წევრებთან ერთად ყოველდღიურად მუშაობს საჭიროების მქონე ადამიანების დასახმარებლად. ნათიამ წლების განმავლობაში შეძლო მნიშვნელოვანი და ძლიერი კავშირის დამყარება სხვადასხვა ქვეყნების წითელი ჯვრების ეროვნულ საზოგადოებებთან, რაც დადებითად აისახა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასა და დახმარების საჭიროების მქონე ქართველ ხალხზე.

2017 წელს, ნათია ლოლაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 20-კაციანი მმართველი საბჭოს წევრი გახდა. ნათია ლოლაძისა და საქართველოს წითელი ჯვრის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, მათ შორისაა ისეთი საქმეები, როგორიცაა ბოლო წლებში განვითარებული პანდემიის პირობებში საქართველოში ვაქცინის შემოტანაში მნიშვნელოვანი წვლილის შესრულება.

ამ წლების განმავლობაში, ნათიას ხელმძღვანელობით საქართველოს წითელმა ჯვარმა არაერთი აღიარება მოიპოვა, დღეს კი ის 192 ქვეყნის გადაწყვეტილებით საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

---

jobs.ge-ზე ვაკანსიები 67%-ით გაიზარდა – რა მიმართულებებზე გამოცხადდა ყველაზე მეტი ვაკანსია

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მაისის ჩათვლით, 33 703 ვაკანსია გამოქვეყნდა jobs.ge-ზე, რაც 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 67%-ით, ხოლო 2019-2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 101%- ით გაზრდილი მაჩვენებელია. 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მაისის ჩათვლით, jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო თვიურმა ზრდის ტემპმა 9.6% შეადგინა. ამის შესახებ PMCG-ს კვლევაშია აღნიშნული.

კვლევაში ასევე მოცემულია, 2022 წლის მაისში Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით.

კერძოდ, PMCG-ს ცნობით, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი - 2 412 ვაკანსია საიტზე ტექნიკურ/ლოჯისტიკურ საქმიანობებზე იყო გამოცხადებული. მას მოსდევს გაყიდვები/შესყიდვები - 2 116 ვაკანსიით, მე-3 ადგილზეა - ადმინისტრაცია/მენეჯმენტის მიმართულება, რაზეც 1 357 ვაკანსია დაფიქსირდა.

ჩამონათვალში ხვდება ასევე:

- ფინანსები - 990 ვაკანსია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - 402 ვაკანსია;
- სხვა - 1 926 ვაკანსია.

რუსი ოკუპანტების აგრესიას უკრაინაში 338 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიის შედეგად, სულ მცირე 338 ბავშვი დაილუპა და 610 დაშავდა. ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურატურა იუწყება.

მათივე ცნობით, ეს მაჩვენებლები საბოლოო არ არის, რადგან შემთხვევების დადასტურება აქტიური საომარი მოქმედებების რაიონებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რთულია.

ბავშვების დაღუპვისა და დაშავების შემთხვევების უმეტესობა დონეცკში ფიქსირდება, რომელსაც ხარკოვის, კიევის, ჩერნიგოვისა და ლუგანსკის ოლქები მოსდევს.

მონატრება

შორენა წოწოლაშვილი

დაუნდობელია წუთისოფელი - ცხოვრებამ მხოლოდ 35 წელი გარგუნა მზიურ ქვეყანაზე. 2 ივლისი შენი დაბადების დღეა. 37 წლის გახდებოდი. უშენოდ მოვიდა ზაფხულის ეს ლამაზი დღე, რომელიც შენ ასე გიყვარდა. მიუხედავად იმისა, ჯანმრთელობა ხელს არ გიწყობდა, სიკეთით და სიყვარულით სავსე მუდამ სხვების პატივისცემასა და სიამოვნებაზე ზრუნავდი, გიყვარდა მეგობრები, ახლობლები... პოეზიის ტრფიალი იყავი, ბევრი ლექსიც იცოდი და გრძნობით გვიკითხავდი ხოლმე. ერთადერთი შვილი ჰყავდი დედაშენს და რაც კი შეეძლო, ბებიასთან ერთად, ხელს გიწყობდა და განებივრებდა. სულ მათ ჯანმრთელობაზე წუხდი და ზრუნავდი. ძალიან მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება. პანდემიამ, ბევრ სხვასთან ერთად, შენი სიცოცხლეც შეიწირა. თავზარდამცემი იყო დედაშენი ლალისა და ბებია ზიზოსთვის, რომლებსაც თვალზე ცრემლი არ აშრებათ და ენატრები. გვენატრები ჩვენც, შენს უფროს მეგობრებს. უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ღმერთს ებარებოდე. შორენა!

მონატრებით,
ფატი და ლუიზა ზურაშვილები

სპარტაკ ლაპიაშვილი

მტკივნეული და დაუვიწყარია ჩვენთვის 1 ივლისი- შენი გარდაცვალების დღე. მიუხედავად იმისა, თავზე გევლებოდით, ყველანაირად ხელს გიწყობდით, რომ შენთვის სიცოცხლე გაგვეხარგრძლივებინა, ავადმყოფობისაგან თავმობეზრებულმა, სწორედ ამ დღეს მიაბარე სული უფალს. წახვედი ამქვეყნიური ცხოვრებიდან და დაგვიტოვე დიდი სევდა და მონატრება, რომელიც 3 წლის შემდეგ სულაც არ განელებულა- ჩვენ ისევ ისე გვიყვარხარ, გვენატრები და გეფერებით, როგორც სიცოცხლეში, მაგრამ ძნელია, შენ რომ ველარ გვიბრუნებ სამაგიერო სითბოს, მზრუნველობას და ყურადღებას, როგორც სიცოცხლეში გჩვეროდა ხოლმე, როგორც განებივრებული გყავდა შენი ოჯახი. გვეამაყება, რომ შენზე აუგისმთქმელი კაცი ჯერ არ შეგვხვედრია, რომ შენგან დათესილი სიკეთე წინ გხვდება... შენ აღარ ხარ ჩვენს გვერდით, ცხოვრება მიდის ჩვეული კალაპოტით, უშენოდ მოსული სიახლეები გვაქვს, რომელიც შენც ძალიან გაგახარებდა: შენი გაზრდილი პირველი სიხარული, შენი შვილიშვილი გიორგი 2 წლის ანასტასიას მამაა და პატარა ანგელოზს ყველანი ჭკუიდან გადავყავართ. შენმა ნაბოლარა ლუკამ კი წელს სკოლა დაამთავრა და აბიტურიენტია. ილოცე ჩვენთვის, ჩვენო კეთილო და ამაგიანო ადამიანო. ჩვენ კი არ მოგაკლებთ სანთელ-საკმეველს, რომელიც გაგინათებს შენს სამყაროს. არასოდეს წაიშლება შენი ხსოვნა ჩვენს გულებში. უფალს ებარებოდე და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე მანანა გოგაშვილი,
შვილები: სონა და მაკა ლაპიაშვილები ოჯახებით.

„ხორნაბუჯის თასი“ - ახალი ჩემპიონატი დაარსდა

17 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროში კიკბოქსინგში ახალ ჩემპიონატს ჩაეყარა საფუძველი. „ხორნაბუჯის თასი“ - ასე ეწოდა ჩემპიონატს, რომელიც კულტურის სახლის ეზოში გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი, ტრადიციულად, დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ ხელმძღვანელი თამაზ ყარაგვეზაშვილია. „შირაქთან“ ის ამბობს, რომ „ხორნაბუჯის თასის“ გათამაშება ყოველწლიურ სახეს მიიღებს. ამჯერად დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ ბოლნისის, გურჯაანისა და სიღნაღის მოკრივეთა კლუბები.

„ვინაიდან დედოფლისწყაროელებისთვის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის, ხორნაბუჯის ციხის აღდგენა-განვითარება იწყება და მთავრობის მიერ დაფინანსებული სამუშაოების შემდეგ, ის, უნდა გადაიქცეს საუკეთესო ტურისტულ ადგილად, ჩვენის მხრივ, გადავწყვიტეთ, მისი სახელის პოპულარიზაციას ხელი ჩვენებურად შევუწყოთ და „ხორნაბუჯის თასი“-ს მფლობელები ყოველწლიურად გამოვავლინოთ. სამომავლოდ, შთამბეჭდავი სანახაობა იქნება, თუკი ეს ბრძოლები უშუალოდ ციხის ტერიტორიაზე გაიმართება,“ - ჩემპიონატის იდეაზე საუბრობს **თამაზ ყარაგვეზაშვილი**.

ორთაბრძოლები მიმდინარეობდა სხვადასხვა წონით კატეგორიებში. გამოვლინდა გამარჯვებული სპორტსმენებიც. როგორც ყოველთვის, გუნდური პირველობა სტუმრებს არც ამჯერად დაუთმეს მასპინძელმა დედოფლისწყაროელებმა.

საბოლოო ჯამში, შეჯიბრის პროცესი შთამბეჭდავად წარიმართა. ჩემპიონატი ქართული ცეკვით გაიხსნა, შემდეგ ნანუკა ნაროზაულის მიერ წაკითხული პატრიოტული ლექსით გაგრძელდა, რასაც კესო გოგაშვილის ვიოლინოს ჰანგები მოჰყვა. მან ომში მყოფი ქვეყნის სოლიდარობის ნიშნად უკრაინული მელოდია შეასრულა. ჩემპიონატის წამყვანი ივერი სეხნიაშვილი იყო.

შედეგების მიხედვით, 9 პირველი ადგილი დედოფლისწყაროელებს ერგოთ. გაზეთი „შირაქი“ გთავაზობთ გამარჯვებული დედოფლისწყაროელი მოკრივეების სიას:

ლუკა ზურიკაშვილი - 80 კგ; **ლუკა ბერუაშვილი** - 71 კგ; **საბა ალგაიათი** - 67 კგ; **გიორგი გუ**ლაშვილი - 63,5 კგ; **ლუკა ტუმასიანი** - 60 კგ; **სალომე ქოქიაშ**ვილი - 57 კგ; **ბექა ნაროზაული** - 54 კგ; **ლუკა ყაჭაშვილი** - 48 კგ; **გიორგი ქადაგიშვილი** - 45 კგ.

ჩემპიონატის გამარჯვებულები დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა აკაკი ნატროშვილმა თასებით, მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

თამაზ ყარაგვეზაშვილი (**მწვრთნელი**): „სხვა სპორტსმენებიც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ქულების მცირე უპირატესობით დამარცხდა ზემძიმე წონაში მონაწილე გიგი ქისტაური 20 კილოგრამით მძიმე მოწინააღმდეგესთან, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა მას. მინდა ხაზი გავუსვა, რომ სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ამჯერად რინგზე გავიყვანე ჩვენი გუნდის ახალი თაობა. უმრავლესობა დებიუტანტია. მინდოდა გამოცდილება შეეძინათ და სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი, რადგან გამოუცდელმა ბავშვებმა ისეთი კარგი ბრძოლა აჩვენეს. მადლობა მინდა გადავუხადო მათ, მუნიციპალიტეტის სახელის კარგად წარმოჩენისთვის. უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა, თუმცა, პირველი ნაბიჯებისთვის ესეც საკმარისია. ხალხმაც შეაფასა ეს და იმდენი ოვაციები იყო, თავი ბედნიერად ვიგრძენი. ეს მეტყველებს ყველაფერზე.

მაყურებელი განსაკუთრებულად ელოდა გოგონების რინგზე გამოსვლას. დედოფლისწყაროელმა **სალომე ქოქიაშვილმა** მაყურებელსა და ადგილობრივ გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუვა, ლამაზი ილეთებით და ძლიერი დარტყმებით პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით დაამარცხა ბოლნისელი მეტოქე რიმა ანანოვა.

კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“ მადლობას უხდის მხარში დგომისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის სპორტისა და კულტურის ცენტრებს.

„ხორნაბუჯის თასი“ აუცილებლად გახდება ტრადიციული ჩემპიონატი და მომავალ წელს გაცილებით მასშტაბურად ჩავატარებთ, მოვიწვევთ სხვა ქვეყნების მებრძოლებსაც. მასშტაბურობა კი ხელს შეუწყობს როგორც ისტორიული ძეგლის პოპულარიზაციას, ისე ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას. გარდა ამისა, მოზარდებისთვის მისაბაძი გახდება ვარჯიში და სპორტული ცხოვრება.

2022 წელი დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდისთვის საიუბილეო წელია. არსებობის 30 წლის მანძილზე სპორტსმენებმა მოიპოვეს ყველა სინჯის მედალი, დიდი იმედი მაქვს, ოლიმპიური ოქროც მალე გახდება ჩვენი სპორტსმენების მონაპოვარი,“ - აღნიშნავს ყარაგვეზაშვილი.

ლუკა ყაჭაშვილი ფართო საზოგადოებამ კახეთის რეგიონში გამართული მუსიკალური სატელევიზიო საკონკურსო პროექტიდან გაიცნო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ წარმატებებს სპორტშიც აღწევს. ლუკა „შირაქს“ ეუბნება, რომ „ხორნაბუჯის თასის“ აღება მისთვის მნიშვნელოვანია.

„ჩემპიონატი „ხორნაბუჯის თასი“, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტშიში ჩატარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და ჩვენი გუნდის სპორტსმენებისთვის. გვინდოდა მაქსიმალურად ლამაზი ორთაბრძოლები ჩაგვეტარებინა და ხალხისთვის საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გვენახებინა. ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ერთგულ მწრთვნელს, თამაზ ყარაგვეზაშვილს. ის ძალას არ იშურებდა ჩვენთვის, რომ მაქსიმალურად მომზადებულები დავხვედრილიყავით ჩამოსულ სპორცმენებს. ჩემი მეტოქე ღირსეული სპორტსმენი იყო. მასთან არაერთი ბრძოლა ჩამიტარებია და უფრო მეტი თავდაჯერებულობით ვიყავი. მთელი გულით მინდოდა, რომ ეს ბრძოლა მომეგო და ხალხისთვის ჩემი შესაძლებლობები მეჩვენებინა. ვფიქრობ, გამომივიდა. სპორტი ყოველთვის მიზიდავდა და როდესაც პირველად შევედი კიკბოქსზე, ძალიან მომეწონა ის მეგობრული გარემო, რომელიც იქ დამხვდა. თამაზი მასწავლებელიც ყველთვის ცდილობდა მოეცა სტიმული და ვარჯიშის მოტივაცია,“ - აღნიშნავს ლუკა ყაჭაშვილი.

შეგახსენებთ, 2021 წელს ოლიმპიურმა კომიტეტმა კიკბოქსინგი დატაილანდური კრივი აღიარა ოლიმპიურ სახეობად. ახლა, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც მიმდინარეობს მთელი რიგი სამუშაოები სპორტის უმაღლეს ფორუმზე ღირსეულად წარდგენისთვის.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.06	სამშაბათი 28.06	ოთხშაბათი 29.06	ხუთშაბათი 30.06	პარასკევი 01.07	შაბათი 02.07	კვირა 03.07
დღე	30°	31°	29°	29°	27°	28°	28°
ღამე	18°	18°	18°	17°	17°	17°	17°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.